1. **პროგრამის სახელწოდება:** ფილოსოფია

სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სასპეციალიზაციო მოდულს:

1. კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა
2. პოლიტიკური ფილოსოფია
3. ამერიკული ფილოსოფია
4. ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ–ეპისტემოლოგიური ასპექტები

მაგისტრი სასპეციალიზაციო მოდულის ირჩევს II სემესტრიდან.

2. **პროგრამის კოორდინატორი:** ასოცირებული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი.

მოდულების ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. აკაკი ყულიჯანაშვილი (კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა), პროფესორი დემურ ჯალაღონია (პოლიტიკური ფილოსოფია), ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე (ამერიკული ფილოსოფია), სრული პროფესორი ლელა ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი ლერი მჭედლიშვილი (ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ–ეპისტემოლოგიური ასპექტები).

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

ფილოსოფიის მაგისტრი (კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა/პოლიტიკური ფილოსოფია/ამერიკული ფილოსოფია/ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტები) MA in Philosophy (Philosophy of Culture and Aesthetics/Political Philosophy/American Philosophy/Logics and Ontological-Epistemological Aspects of History of Philosophy).

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: ფილოსოფიასთან მიმართებაში ეჭვს არ იწვევს ხელოვნების და კულტურის, პოლიტიკის, ლოგიკის ფილოსოფიური პრობლემების, ასევე ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტების შესწავლის აქტუალობა. ადამიანისათვის ფუნდამენტურია სამყაროსადმი ფილოსოფიური მიმართება, სამყაროს ფილოსოფიური სურათის შექმნას უზარმაზარი ტრადიცია აქვს. სამაგისტრო პროგრამის მოდულები ისეა აგებული, რომ სტუდენტებს მისცემს საშუალება გაერკვეს კლასიკურ და არაკლასიკურ ფილოსოფიურ პარადიგმებს შორის მიმართების საფუძვლებში. თითოეულ მოდულში ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ფილოსოფიის მიერ საკუთარი მოწოდების რეალიზება და სამყაროში ადამიანის ადგილის სრულფასოვანი განსაზღვრა.

სამაგისტრო პროგრამაში თანამედროვე ფილოსოფიის სწორედ ეს სპეციფიკაა გათვალისწინებული. იგი იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების,

სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას.

მოდული I

კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა - მოდულის მიზანია ხელოვნებასა და ზოგადად კულტურასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების სწავლება. ამ ნიშნით სხვადასხვა კარდინალურ საკითხებთან ერთად სხვადასხვა მიმდინარეობის, კონცეფციის, კვლევითი სტრატეგიის, თანამედროვე კულტურული ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენები გაშუქება.

"კულტურის ფილოსოფიისა და ესთეტიკის" მოდული მიზნად ისახავს:

- კულტურათა და ხელოვნების სტილთა მრავალფეროვნების, მათი უნიკალობის და თვითღირებულების სწავლება-ანალიზს.
- ესთეტიკისა და კულტუროლოგიის თანამედროვე მიმდინარეობების, თეორიებისა და ფუნდამენტური კატეგორიების სიღრმისეულ სწავლებას.
- თანამედროვე სამყაროში ადამიანის პიროვნული ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბებას;
- განსხვავებულ კულტურათა ,,ენებთან'' სტუდენტთა ზიარებას.
- მრავალფეროვანი მხატვრული სინამდვილის ესთეტიკური წვდომის უნარის გამომუშავებას.

მოდული II.

პოლიტიკური ფილოსოფია - მოდულის მიზანია სახელმწიფო მმართველობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა პრობლემების კვლევა, პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემის გაანალიზება, მათი კონცეპტუალიზაცია, ასევე, პოლიტიკურ ღირებულებებთან: თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, წესრიგის არსთან დაკავშირებული რეალიების ანალიზი და პოლიტიკური ფილოსოფიის ფუნდამენტური კატეგორიების რეალიზაციის გზების თეორიული ასპექტების სწავლება.

დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული პოლიტიკური ფილოსოფიის მიღწევების ათვისების გზით დემოკრატიის, ტოტალიტარიზმის და საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგადი ასპექტების კვლევა. პოლიტიზაციის გლობალურ პროცესთან ერთად პოლიტიკური სისტემების უძირითადესი შინაგანი წინააღმდეგობების წარმოჩენა. პოლიტიკური დისკურსის სივრცეში წარმოშობილი დილემების ანალიზი.

მოდული III.

ამერიკული ფილოსოფია - მოდული მიზნად ისახავს ამერიკული ფილოსოფიის შესწავლას, მისი ძირითადი მიმართულებების, პრობლემატიკისა და სააზროვნო ტრადიციების ათვისებას. ამერიკული ფილოსოფიის ისტორიის საეტაპო კონცეპტების შესწავლას, მოდულის ფორმატით გათვალისწინებულია ამერიკული ფილოსოფიის ანალიზი თანამედროვე ეთიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების კონტექსტში. მოდულის ფარგლებში განხორციელდება ამერიკული ფილოსოფიის კომპარატივისტული შესწავლა.

მოდული IV.

ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ–ეპისტემოლოგიური ასპექტები.

მოდული ხორციელდება ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და მედიევისტიკის ფაკულტეტების პროფესორების თანამშრომლობით. მოდულის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტი-მაგისტრანტები ფუნდამენტური ცოდნით ლოგიკაში და ფილოსოფიის ისტორიაში ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიურ ასპექტების აქცენტირებით. ისინი ამ კუთხით შეისწავლიან გვიანანტიკურ, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიის ძირითად საპრობლემო საკითხებს, დაუფლებიან ამ დარგების ცნებით აპარატს, არგუმენტაციის ტექნიკას, გაეცნობიან ფილოსოფიური ლოგიკის ზოგიერთ ახალ მიმართულებას და ლოგიკას შეისწავლიან ფილოსოფიურ-ისტორიულ ჭრილში, ასევე შეისწავლიან ენის ფილოსოფიის პრობლემებს.

სწავლის შედეგები: მოდულების გაერთიანება ქმნის როგორც ფილოსოფიური ცოდნის ერთიან სისტემას, ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ცალკეული მოდულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური კონკრეტიზებული ცოდნა.

მაგისტრს შეეძლება - კომპლექსურად (ოთხივე მოდულიდან) პრობლემების ორიგინალურად გადაჭრა, შესაბამის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინარულ) კონტექსტში ცოდნის გამოყენება, დასკვნების საჯარო წარდგენა, აზრის მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, საზღვრითი პრობლემების გამიჯვნა და ერთიანობაში განხილვა, არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოყალიბება, პრობლემის გადასაჭრელად დამატებითი რესურსების მოძიება, ახალი ღირებულებების, კულტურათა დიალოგში ძირითადი და სპეციფიური ნიშან-თვისებების გამორჩევა.

გარდა ამისა, მაგისტრი დახელოვნდება გუნდურ მუშაობაში, რეფერატისა და ესსეს წერაში, პრეზენტაციების მოწყობაში; ჩამოუყალიბდება ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი კვლევის იმგვარი უნარ-ჩვევები, რომლებიც ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის საწინდარია.

დასაქმების სფეროები/სწავლის გაგრძელების საშუალება:

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა მეცნიერული მუშაობა გააგრძელონ იმ მიმართულებით, რომელშიც მიიღეს სპეციალიზაცია.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებაში მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის შესახებ ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად, მენეჯერებად, წამყვან სპეციალისტებად, ანალიტიკოსებად, მრჩეველებად.

- სამთავრობო და საპარლამენტო სტუქტურებში
- მმართველობისა და თვითმმართველობის ინსტიტუტებში
- არასამთავრობო ორგანიზაციებში
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებსა და ცენტრებში
- ამერიკულ-ქართული კომპანიებში, ფონდებსა და ორგანიზაციებში
- გამომცემლობებში
- მასმედიაში
- მუზეუმებში

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.